სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური

დირექტორის

ბრძანება № 24

2014 წლის 13 მაისი

ქ. თბილისი

მიზნობრივი კვლევებისა და განვითარების ინიციატივების პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2014 წლის კონურსის პირობებისა და პროექტის წარმდგენი იურიდიული და ფიზიკური პირების ერთობლივი განცხადების ფორმის დამტკიცების შესახებ

,,მიზნობრივი კვლევებისა და განვითარების ინიციატივების პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული კონკურსისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის №86 დადგენილების, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ", ,,ე", ე¹" და ,,თ" ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს ,,მიზნობრივი კვლევებისა და განვითარების ინიციატივების პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2014 წლის კონურსი";
2. დამტკიცდეს ,,მიზნობრივი კვლევებისა და განვითარების ინიციატივების პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2014 წლის კონურსის" პირობები ამ ბრძანების დანართი №1-ის შესაბამისად;
3. დამტკიცდეს ,,მიზნობრივი კვლევებისა და განვითარების ინიციატივების პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2014 წლის კონურსის" საპროექტო წინადადების ფორმა ამ ბრძანების დანართი №2- ის შესაბამისად;
4. დამტკიცდეს ,,მიზნობრივი კვლევებისა და განვითარების ინიციატივების პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2014 წლის კონურსის" ბიუჯეტის ფორმა ამ ბრძანების დანართი №3- ის შესაბამისად;

5. დამტკიცდეს ,,მიზნობრივი კვლევებისა და განვითარების ინიციატივების პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2014 წლის კონურსში" პროექტის წარმომდგენი ფიზიკური და იურიდიული პირების ერთობლივი განაცხადების ფორმა ამ ბრძანების დანართი №4- ის შესაბამისად;
6. დამტკიცდეს ,,მიზნობრივი კვლევებისა და განვითარების ინიციატივების პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2014 წლის კონურსში" წარდგენილი პროექტის მონაწილეთა ავტობიოგრაფიის (CV) ფორმა ამ ბრძანების დანართი №5- ის შესაბამისად;
7. დაევალოს ფონდის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ვებ-გვერდზე: www.rustaveli.org.ge;
8. ბრძანება ძალაშია მისი საჯაროდ გამოქვეყნებისთანავე.
9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

სულხან სისაური

დანართი N1
დამტკიცებულია
სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო
ფონდის გენერალური დირექტორის
2014 წლის 13 მარტის № 24 ბრძანებით

სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი
მიზნობრივი კვლევებისა და განვითარების ინიციატივების პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2014 წლის კონკურსის პირობები

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. მიზნობრივი კვლევებისა და განვითარების ინიციატივების პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული საგრანტო კონკურსის (შემდგომში – კონკურსი) მიზანია შეარჩიოს და დააფინანსოს სამეცნიერო პროექტები შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდსა და მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ცენტრს უკრაინაში (მტცუ) შორის შეთანხმებული შემდეგი პრიორიტეტული სამეცნიერო მიმართულებებიდან:

ა) ბიოტექნოლოგიები და სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები;

ბ) ახალი მასალები და ნანოტექნოლოგიები;

გ) საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები.

2. კონკურსი იმართება ღიად და საჯაროდ, გამჭვირვალე კონკურენტულ გარემოში, დამოუკიდებელ მაღალკვალიფიციურ ექსპერტიზაზე დაყრდნობით.

3. კონკურსი ტარდება "მიზნობრივი კვლევებისა და განვითარების ინიციატივების პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული კონკურსისათვის სახელმწიფო სამეცნირო გრანტების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის N86 დადგენილებითა და წინამდებარე ბრძანებით განსაზღვრული წესების შესაბამისად.

მუხლი 2. საგრანტო კონკურსის ადმინისტრირება

1. პროექტის ბიუჯეტის 50%-ის დაფინანსებას უზრუნველყოფს ფონდი.

2. ფონდი უზრუნველყოფს:

ა) მტცუ-სთან შეთანხმებით კონკურსის გამოცხადებას კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ბ) მტცუ-სთან შეთანხმებით კონკურსის გამართვის წესისა და საკონკურსო დოკუმენტაციის მიღების ვადების დადგენასა და საჯაროდ გამოცხადებას, აგრეთვე, საკონკურსო დოკუმენტაციისა და პროექტის შესრულების შუალედური და საბოლოო ანგარიშის ფორმების დამტკიცებას;

გ) პროექტების შეფასებას პირველ ეტაპზე დამოუკიდებელ ადგილობრივ ექსპერტთა მეშვეობით და საუკეთესო შეფასების მქონე არაუმეტეს 25 პროექტის გადაგზავნას მტცუ-ში საბოლოო შერჩევისთვის;

დ) შერჩევის საბოლოო შედეგებზე დაყრდნობით პროექტების დამტკიცებას დასაფინანსებლად;

ე) გამარჯვებული პროექტების დაფინანსებასა და მათი შესრულების მონიტორინგს.

მუხლი 3. კონკურსში მონაწილეობა

1. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ:

ა) წამყვანი ან/და თანამონაწილე ორგანიზაციის სახით _ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, საქართველოში რეგისტრირებულ კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებს, რომელთა წესდების/დებულების მიზანია სამეცნიერო კვლევების

განხორციელება, საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ავტორიზებულ უმაღ-ლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს;

ბ) ძირითადი პერსონალის სახით – მაგისტრანტს, დოქტორანტს, მაგისტრის, დოქტორის ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე საქართველოს მოქალაქეს;

გ) პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელის სახით - დოქტორს ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე ფიზიკური პირს.

2. უნივერსიტეტების სტრუქტურაში შემავალი პროფილური კვლევითი ინსტიტუტების რაოდენობის გათვალისწინებით მათგან კონკურსზე წარმოსადგენი პროექტების რაოდენობა ლიმიტირებულია შემდეგნაირად:

- სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი - 20 პროექტი;
- ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი - 20 პროექტი;
- სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი - 16 პროექტი;
- სსიპ -ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი - 14 პროექტი;
- სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი - 10 პროექტი;
- სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი - 10 პროექტი;
- სსიპ -აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი - 8 პროექტი
- სსიპ - ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის- 8 პროექტი;
- დანარჩენი ორგანიზაციებიდან, რომელთა სამართლებრივი სტატუსი შეესაბამება ამ მუხლის პირველ პუნქტით განსაზღვრულ პირობებს, კონკურსზე დაიშვება 2 პროექტი.

3. პროექტში მონაწილე ძირითადი პერსონალის არანაკლებ 50%-ს უნდა წარმოადგენდნენ მეცნიერები, რომლებიც ადრე მონაწილეობდნენ მასობრივი განადგურების იარაღის შექმნაში.

4. კონკურსში მონაწილეობის აუცილებელ პირობას წარმოადგენს პროექტში სულ მცირე ერთი (უმჯობესია 2 ან მეტი) კოლაბორატორის მონაწილეობა მტცუ-ს დამფინანსებელი მხარეებისაგან: აშშ, კანადა, ევროკავშირის ქვეყნები.

5. პროექტში აუცილებელია წამყვანი ორგანიზაციის მონაწილეობა.

6. უპირატესობა მიენიჭებათ პროექტებს, რომლებიც წარმოდგენილი იქნება რამდენიმე კვლევითი ჯგუფის/ორგანიზაციის მიერ და რომლებიც ატარებენ ინტერდისციპლინურ ხასიათს.

7. ერთი და იგივე პირი არ შეიძლება მონაწილეობდეს პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელის ან ძირითადი პერსონალის სტატუსით „მიზნობრივი კვლევებისა და განვითარების ინიციატივების პროგრამის“ ფარგლებში გამოცხადებული სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2014 წლის კონკურსში წარმოდგენილ ერთზე მეტ პროექტში.

მუხლი 4. საკონკურსო პროექტების ფორმატი

1. საკონკურსოდ წარმოდგენილი პროექტის ხანგრძლივობა უნდა იყოს 12, 18 ან 24 თვე.

2. ფონდიდან მოთხოვნილი საგრანტო დაფინანსება არ უნდა აღემატებოდეს 35 000 დოლარის ეკვივალენტს ლარებში.

3. წამყვანი და თანამონაწილე ორგანიზაციების ბაზაზე პროექტით დაგეგმილი ამოცანების განხორციელებისათვის აუცილებელი ხარჯები უნდა აისახოს ხარჯვის კატეგორიაში „ზედნადები ხარჯები“. ზედნადები ხარჯების მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ფონდიდან მოთხოვნილი თანხის 10%–ს.

4. ძირითადი პერსონალის ყოველთვიური საგრანტო დაფინანსება და დამხმარე პერსონალის ყოველთვიური ანაზღაურება არ უნდა აღემატებოდეს 1250 ლარს.

5. ფონდის მხრიდან პროექტის საგრანტო დაფინანსება ხორციელდება საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ტრანშების სახით. გრანტის თანხები გადაირიცხება გრანტის მიმღები წამყვანი და თანამონაწილე ორგანიზაციის საბანკო ანგარიშებზე. თითოეული ტრანშის ოდენობა მითითებული უნდა იყოს პროექტის ბიუჯეტში. ტრანშების მოცულობა იგეგმება შესაბამის პერიოდში/ეტაპზე პროექტში განსახორციელებელი საქმიანობის მიხედვით. თითოეული პერიოდის ხანგრძლივობა 6 თვეა.

6. ფონდის მხრიდან პირველი ტრანში, ავანსის სახით, გაიცემა საგრანტო ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ. ყოველი მომდევნო ტრანში - წინა ტრანშით გათვალისწინებული შედეგების/თვლადი ინდიკატორების შესრულების შესახებ ფონდში წარმოდგენილი ანგარიშების განხილვის საფუძველზე. ბოლო ტრანშის სახელფასო ნაწილი გაიცემა პროექტის საბოლოო ანგარიშგების შემდგომ.

7. პროექტის დასრულების შემდეგ გრანტის სახსრებით შეძენილი ქონება საკუთრებაში რჩება წამყვან/თანამონაწილე ორგანიზაციებს ან/და ფიზიკურ პირს/პირთა ჯგუფს მათ შორის გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით.

8. პროექტი უნდა ითვალისწინებდეს შედეგების საპრეზენტაციო ღონისძიებებს. რეკომენდებულია წელიწადში სულ მცირე ერთი ამგვარი ღონისძიების დაგეგმვა.

მუხლი 5. ფონდიდან მოთხოვნილი თანადაფინანსება

1. ფონდიდან მოთხოვნილი თანადაფინანსება შესაძლოა ითვალისწინებდეს შემდეგ მუხლებს/ხარჯვით კატეგორიებს:

ა) ძირითადი პერსონალის საგრანტო დაფინანსება;

ბ) დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურება;

გ) მივლინება: სამივლინებო ხარჯები ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ. განისაზღვრება „დაქირავებულისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ნორმების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის №220 ბრძანების შესაბამისად;

დ) საქონელი და მომსახურება: საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს №672 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის“ საქონელი და მომსახურების მუხლით გათვალისწინებული ხარჯები“, რომელიც დაკავშირებულია კვლევასთან (პროექტთან);

ე) კაპიტალური ხარჯები: სამეცნიერო-კვლევითი აპარატურის, საოფისე ტექნიკის, კომპიუტერების, ასლის გადამღები აპარატურის, პრინტერის, ა.შ., სხვა სამეცნიერო მოწყობილობების, კვლევისთვის აუცილებელი ფოტო, ვიდეო და სხვა ციფრული ტექნიკის (მობილური ტელეფონების გარდა) და სხვა ძირითადი აქტივების შეძენის ხარჯი, რომელთა საექსპლუატაციო ვადა აღემატება 1 წელს, ხოლო ერთეულის ღირებულება აღემატება 500 ლარს და მათი გამოყენება შესაძლებელი იქნება პროექტის დასრულების შემდეგაც, ასევე, პროექტის ფარგლებში გამოყოფილი ფართის მიმდინარე სარემონტო სამუშაოების ხარჯები;

ვ) ზედნადები ხარჯები: პროექტის ტექნიკური უზრუნველყოფისათვის საჭირო წამყვანი და თანამონაწილე ორგანიზაციის მიერ გასაწევი ხარჯები, რომელიც შეადგენს ფონდიდან მოთხოვნილი დაფინანსების არაუმეტეს 10%-ს. იგი ხმარდება პროექტის შესრულების უზრუნველყოფას – წამყვანი და თანამონაწილე ორგანიზაციის მიერ გაწეულ კომუნალური (სატელეფონო მომსახურების, ელექტროენერგიის, წყალმომარაგების, გათბობის) დანახარჯებს, გრანტით შეძენილი ძირითადი საშუალებების ტრანსპორტირებას, შენობა - ნაგებობების დაცვასა და მოვლა-დასუფთავებაზე გაწეულ (მათ შორის, შრომით) დანახარჯებს, ოფისის (გრანტის

საფინანსო-საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგების ბლანკების, საკანცელარიო ნივთების, და სხვა) დანახარჯებს, ბანკის მომსახურების ხარჯებს, აგრეთვე, ადმინისტრაციული მომსახურებისათვის გაწეულ შრომითი დანახარჯებს (ბუღალტრის ხელფასი).

2. გრანტის სახსრებით დაუშვებელია უძრავი ქონების შეძენა, უძრავი ქონების იჯარა, კაპიტალური რემონტი/შენობა–ნაგებობის რეკონსტრუქცია, ავტომანქანის შეძენა.

მუხლი 6. კონკურსის ეტაპები

კონკურსის ძირითადი ეტაპებია:

ა) კონკურსის გამოცხადება;

ბ) პროექტების მოკლე ვერსიის ფონდის ელექტრონულ ბაზაში რეგისტრაცია აპლიკანტების მიერ, პროექტების კონკურსის პირობებთან და მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

გ) კონკურსში მონაწილეობის შესახებ პროექტის წარმომდგენი იურიდიული და ფიზიკური პირების ერთობლივი განცხადების შემოტანა ფონდში;

დ) პროექტების მოკლე ვერსიის შეფასება დამოუკიდებელ ადგილობრივ ექსპერტთა მეშვეობით;

ე) დამოუკიდებელ ადგილობრივ ექსპერტთა შეფასების საფუძველზე საუკეთესო ქულების მქონე პროექტების სიის სამეცნიერო საბჭოს მიერ დამტკიცება და მტცუ-ში გადაგზავნა;

ვ) მტცუ-ს ფორმის მიხედვით მომზადებული საუკეთესო ქულების მქონე პროექტების სრული ვერსიებისა და კოლაბორატორის/კოლაბორატორების თანამშრომლობის ინტერესის გამოხატვის წერილის ფონდში წარდგენა;

ზ) საუკეთესო ქულების მქონე პროექტების სრული ვერსიების, უცხოელი კოლაბორატორის/კოლაბორატორების მტცუ-ს ფორმის მიხედვით მომზადებული თანამშრომლობის ინტერესის გამოხატვის წერილისა და საქართველოს სახელით თანხმობის წერილის მტცუ-ში გაგზავნა ფონდის მიერ;

თ) მტცუ-ს მმართველთა საბჭოს მიერ მტცუ-ს საერთაშორისო ექსპერტების შეფასების საფუძველზე პროექტების დასაფინანსებლად შერჩევა;

ი) მტცუ-ს მმართველთა საბჭოს მიერ დასაფინანსებლად შერჩეული პროექტების დამტკიცება ფონდის სამეცნიერო საბჭოს მიერ;

კ) დასაფინანსებლად შერჩეულ პროექტებში მონაწილე ძირითად პერსონალთან, წამყვან და თანამონაწილე ორგანიზაციებთან საგრანტო ხელშეკრულებების გაფორმება.

მუხლი 7. საკონკურსო დოკუმენტაციის წარდგენა

1. კონკურსში მონაწილეობისათვის პროექტი მისი სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ დარეგისტრირებული უნდა იქნას ფონდის ელექტრონულ ბაზაში. პროექტის რეგისტრაცია ხდება ფონდის ვებგვერდიდან: www.rustaveli.org.ge . იქვეა განთავსებული რეგისტრაციის ინსტრუქცია.

2. პროექტის რეგისტრაციამდე ფონდის ვებგვერდზე მეცნიერის ელექტრონული რეგისტრაცია უნდა ჰქონდეს გავლილი პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელსა და ძირითად პერსონალს.

3. სამეცნიერო პროექტის დარეგისტრირების შემდეგ სამეცნიერო ხელმძღვანელი ფონდის ელექტრონული ბაზიდან ავტომატურად მიიღებს პაროლს, რომლის გამოყენებითაც შეეძლება პროექტის რედაქტირება პროექტის საბოლოო წარდგენამდე.

4. პროექტის ელექტრონული რეგისტრაციის ბოლო საფეხურია პროექტის საბოლოო წარდგენა (იხ. რეგისტრაციის ინსტრუქცია). პროექტის საბოლოო წარდგენის შემდეგ პროექტის ატვირთული ვარიანტის რედაქტირება შეუძლებელი იქნება.

5. პროექტის საბოლოო წარდგენის შემდეგ ელექტრონული ბაზა დააგენერირებს „პროექტის წარმომდგენი იურიდიული და ფიზიკური პირების ერთობლივ განცხადებას კონკურსში მონაწილეობის შესახებ“, რომლის ნაბეჭდი ; ვარიანტი სათანადო ხელმოწერებითა და ბეჭდით/ბეჭდებით დამოწმებული წარდგენილ უნდა იქნას ფონდის კანცელარიაში.

6. „პროექტის წარმომდგენი იურიდიული და ფიზიკური პირების ერთობლივ განცხადებას კონკურსში მონაწილეობის შესახებ“ ფონდის კანცელარიაში წარდგენის გარეშე პროექტი კონკურსში დარეგისტრირებულად არ ჩაითვლება, მიუხედავად ელექტრონული რეგისტრაციის დასრულებისა.

7. პროექტების ელექტრონული რეგისტრაცია შესაძლებელი იქნება 2014 წლის 13 მარტიდან 2014 წლის 11 აპრილის 24 სთ-მდე. ელექტრონულად დარეგისტრირებული პროექტებისათვის „პროექტის წარმომდგენი იურიდიული და ფიზიკური პირების ერთობლივ განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ“ ფონდში წარმოდგენილი უნდა იყოს არაუგვიანეს 16 აპრილის 13:00 საათისა. ვადის დარღვევით შემოსული საკონკურსო დოკუმენტაცია ფონდში აღარ მიიღება.

8. ფონდი უფლებამოსილია კონკურსის ნებისმიერ ეტაპზე კონკურსიდან მოხსნას პროექტები, რომლებიც არ შეესაბამება კონკურსის მიზნებისათვის დადგენილ მოთხოვნებს ან შეიცავს ყალბ ინფორმაციას.

9. ფონდი არ ანაზღაურებს პროექტის მომზადებისა და წარდგენისათვის გაწეულ ხარჯებს.

მუხლი 8. პროექტების შეფასება

1. კონკურსი ითვალისწინებს შეფასების ორ ეტაპს.

2. შეფასების პირველ ეტაპზე, კონკურსის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მყოფი პროექტების მოკლე ვერსიები შესაფასებლად გადაეცემა სულ ცოტა ორ დამოუკიდებელ ადგილობრივ ექსპერტს. 20 ქულაზე მეტი განსხვავების შემთხვევაში პროექტი ეგზავნება მესამე ადგილობრივ ექსპერტს. ფონდს შეფასების შედეგი წარედგინება „მიზნობრივი კვლევებისა და განვითარების ინიციატივების პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული კონკურსისათვის სამეცნიერო გრანტების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის N86 დადგენილების დანართი N2-ით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად.

3. ადგილობრივი ექსპერტების შეფასების საფუძველზე ფონდი ადგენს საუკეთესო შეფასების მქონე არაუმეტეს 25 პროექტის რანჟირებულ სიას და წარუდგენს მას სამეცნიერო საბჭოს დასამტკიცებლად.

4. იმ შემთხვევაში, თუ თანაბარი ქულების გამო ვერ ხერხდება ზუსტად 25 პროექტის შერჩევა (მაგალითად: 25-ე, 26-ე და 27-ე პროექტებს თანაბარი ქულები აქვთ), უპირატესობა მიენიჭება იმ პროექტებს, რომლებსაც მეტი ქულა აქვთ დაგროვებული შეფასების კრიტერიუმების მე-3, შემდეგ 2.2 და ბოლოს 1.1 ქვეპუნქტებში.

5. სამეცნიერო საბჭოს მიერ დამტკიცების შემდგომ ფონდი უზრუნველყოფს დამტკიცებული სიის მტცუ-ში გადაგზავნას.

6. შეფასების მეორე ეტაპი ითვალისწინებს მტცუ-ს ფორმის მიხედვით მომზადებული პროექტის სრული ვერსიის შეფასებას მტცუ-ს დამოუკიდებელი საერთაშორისო ექსპერტების მიერ.

7. შეფასების ორივე ეტაპზე ექსპერტთა ვინაობა კონფიდენციალურია.

8. ძირითადი პერსონალის/წამყვანი/თანამოწილე ორგანიზაციის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში თავისი პროექტის მოკლე ვარიანტის საექსპერტო შეფასების გაცნობას აღნიშნული პირებისთის უზრუნველყოფს ფონდი.

9. ფონდი უფლებამოსილია, პროექტის მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე, ასევე პროექტის დასრულებიდან 3 წლის მანძილზე, პროექტთან დაკავშირებული ნებისმიერი ანგარიში, დოკუმენტაცია და პროექტის შედეგები დაუქვემდებაროს დამოუკიდებელ სამეცნიერო ექსპერტიზას.

მუხლი 9. ინტერესთა კონფლიქტი

1. დაუშვებელია ექსპერტი იყოს პირი, რომელიც არის ამავე კონკურსის მონაწილე.

2. არ შეიძლება პროექტების დამტკიცების პროცესში მონაწილეობდეს სამეცნიერო საბჭოს ის წევრი ან იყოს ექსპერტი პირი:

ა) რომელსაც აქვს საერთო პუბლიკაცია ძირითად პერსონალთან ან მონაწილეობდა მასთან ერთსა და იმავე სამეცნიერო–კვლევით პროექტში ან მუშაობს ერთსა და იმავე სტრუქტურულ ერთეულში (ფაკულტეტი, ინსტიტუტი, დეპარტამენტი);

ბ) რომელმაც შესაძლოა მიიღოს პროფესიული, ფინანსური ან პირადი სარგებელი პროექტის გამარჯვების ან დამარცხების შემთხვევაში;

გ) რომელსაც აქვს პროექტის თემატიკის ან კვლევის მეთოდიკის შესახებ პროექტის ავტორებისაგან ფუნდამენტურად განსხვავებული პოზიცია;

დ) რომელიც თვითონ არის დაინტერესებული მხარე პროექტში; პროექტში მონაწილე დაინტერესებული მხარის ნათესავია; პროექტში მონაწილე დაინტერესებული მხარის წარმომადგენელია; იყო ექსპერტი მოცემულ საკითხთან დაკავშირებით; შრომით ურთიერთობაშია პროექტში მონაწილე დაინტერესებულ მხარესთან.

3. ამ დებულების მიზნებისათვის ნათესავად ჩაითვლება:

ა) პირდაპირი ხაზის ნათესავი;

ბ) მეუღლე, მეუღლის და-ძმა და პირდაპირი ხაზის ნათესავი;

გ) აღმავალი ხაზის პირდაპირი ნათესავის და-ძმა;

დ) და-ძმა, მათი მეუღლეები და შვილები.

4. სამეცნიერო საბჭოს წევრი და ექსპერტი ვალდებულია სამეცნიერო საბჭოს/ფონდის გენერალურ დირექტორს ოფიციალურად აცნობოს ამ მუხლში აღნიშნული გარემოებისა და თვითაცილების შესახებ.

5. იმ შემთხვევაში, თუ ინფორმაცია ექსპერტის ინტერესთა კონფლიქტის შესახებ ფონდისთვის ცნობილი გახდება დასაფინანსებლად შერჩეული პროექტების სამეცნიერო საბჭოს მიერ დამტკიცებამდე, ფონდი უფლებამოსილია იმსჯელოს ექსპერტის მიერ გაკეთებული შეფასების გაუქმებასთან დაკავშირებით.

მუხლი 10. საგრანტო ხელშეკრულება

1. დასაფინანსებლად შერჩეული პროექტების სამეცნიერო საბჭოს მიერ დამტკიცების შემდეგ ფონდი უზრუნველყოფს საგრანტო ხელშეკრულებების გაფორმებას დასაფინანსებლად შერჩეულ პროექტებში მონაწილე ძირითად პერსონალთან და წამყვან და თანამონაწილე ორგანიზაციებთან.

2. საგრანტო ხელშეკრულების გაფორმებამდე წამყვანი და თანამონაწილე ორგანიზაციები ფონდს წარუდგენენ წერილობით დადასტურებას იმის შესახებ, რომ მათ სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე დავალიანება არ გააჩნიათ.

3. პროექტის შესრულების დროს გრანტის მიმღების მიერ შექმნილ ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება ფონდსა და გრანტის მიმღებს შორის გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულებით.

4. ფონდი უფლებამოსილია გრანტის მიმღების მიერ ყოველი საანგარიშო პერიოდის დაწყებამდე არა უგვიანეს 20 დღით ადრე წარდგენილი დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე, საგრანტო ხელშეკრულების სამოქმედო გეგმაში ან/და ფონდიდან მოთხოვნილი დაფინანსების ხარჯთაღრიცხვაში განახორციელოს ცვლილება.

მუხლი 11. საგრანტო პროექტის შესრულების მონიტორინგი

1. საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტრანშებს ფონდი რიცხავს ავანსის სახით და ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს ახორციელებს დაფინანსებული საგრანტო პროექტების მონიტორინგს, რომელიც მოიცავს პროექტის განხორციელების ფინანსურ და პროგრამულ მონიტორინგს.

2. ფინანსური მონიტორინგი გულისხმობს საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში ფონდის მიერ გადარიცხული თანხების ხარჯვის შესაბამისობის დადგენას ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ხარჯთაღრიცხვასთან.

3. პროგრამული მონიტორინგის განხორციელებისას ფონდი ეყრდნობა მტცუ-ს მიერ მოწოდებულ წერილობით შეფასებას პროექტის პროგრამული ანგარიშის შესახებ.

4. ფონდის მიერ მონიტორინგის განხორციელებისას:

ა) მიზნობრივ ხარჯად ჩაითვლება – საგრანტო ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვის ძირითადი ხარჯვითი კატეგორიის ფარგლებში განხორციელებული ხარჯი, თუ იგი მიეკუთვნება ამ ხარჯვით კატეგორიას;

ბ) არამიზნობრივ ხარჯად ჩაითვლება - საგრანტო ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვით გაუთვალისწინებელი ხარჯი. აღნიშნული ხარჯი ექვემდებარება მიზნობრივ საგრანტო ანგარიშზე დაბრუნებას;

გ) გადახარჯვად ჩაითვლება - საანგარიშო პერიოდში საგრანტო ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვის კონკრეტული მუხლებით გათვალისწინებული ხარჯების გაწევა სხვა მუხლებში არსებული რესურსით, იმ შემთხვევაში თუ გადახარჯულ მუხლში მომავალი ტრანშით ჩასარიცხი თანხა აღემატება ან ტოლია სხვა მუხლიდან გადახარჯული მუხლით გათვალისწინებული ხარჯებისათვის გამოყენებულ რესურსს; გადახარჯვა არ ჩაითვლება ხარვეზად და არ წარმოადგენს პროექტის შეჩერების საფუძველს;

დ) ნაშთად ჩაითვლება - საანგარიშო პერიოდში გაუხარჯავი რესურსი, რომელიც შესაძლოა გაიხარჯოს მომდევნო კვარტლებში.

5. პროექტის შეჩერება ან/და შეწყვეტა ხორციელდება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად.

6. საგრანტო დაფინანსების შეწყვეტის შემთხვევაში პროექტის ფარგლებში შეძენილი ქონება გადაეცემა ფონდს საკუთრებაში.

7. საგრანტო პროექტი ჩაითვლება დასრულებულად თუ საგრანტო პროექტის ფარგლებში ავანსად გადარიცხულ ყველა ტრანშზე, პროექტის დახურვის მომენტში წარმოდგენილია შუალედური და საბოლოო ანგარიშები და პროექტი არ არის შეჩერებული ან შეწყვეტილი.

მუხლი 12. დამატებითი ინსტრუქციები

1. ფონდი მტცუ-ში წარადგენს წინამდებარე დანართის მე-8 მუხლით გათვალისწინებული რაოდენობის პროექტების ოფიციალურ სიას მათი სათაურებითა და სამეცნიერო ხელმძღვანელების საკონტაქტო მონაცემებით. აღნიშნულ პირებს მტცუ გადაუგზავნის პროექტების მოსამზადებლად საჭირო სრულ ფორმებსა და სარეგისტრაციო ნომრებს (ასლი გადაეგზავნება ფონდს). სათანადო ფორმის შესაბამისად მომზადებული პროექტების სრულ ვერსიებს ინგლისურ ენაზე პროექტის ხელმძღვანელები წარადგენენ ფონდში 2014 წლის 21 ივლისის 18.00 საათამდე.

2. პოტენციური კოლაბორატორების მხრიდან თანამშრომლობის ინტერესის გამოხატვის წერილის ორიგინალი უნდა გადაეგზავნოს, როგორც მტცუ-ს, ისე პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელს, რომელმაც, თავის მხრივ, აღნიშნული წერილი უნდა წარადგინოს ფონდში პროექტის სრულ ვერსიასთან ერთად 2014 წლის 21 ივლისის 18

საათამდე. პოტენციურმა კოლაბორატორებმა თანამშრომლობის ინტერესის გამოხატვის წერილის მომზადებისას უნდა დაიცვან ინსტრუქციები, რომლებიც მოყვანილია ვებგვერდზე: **http://www.stcu.int/west/recommendation/**.

3. შეფასების მეორე ეტაპზე გასული პროექტების ავტორებს სრულ ვერსიაზე მუშაობის დაწყება შეუძლიათ მტცუ-დან პროექტის მოსამზადებლად სრული ფორმისა და სარეგისტრაციო ნომრის ოფიციალურად მიღებამდე. სათანადო ფორმების ჩამოტვირთვა შესაძლებელია მტცუ-ს ვებ-გვერდიდან: **http://www.stcu.int/cis/grant/.**

4. იმისათვის, რომ პროექტი ჩაითვალოს სრულყოფილად და გადაეგზავნოს მტცუ-ს საერთაშორისო ექსპერტებს, მტცუ-ში წარსადგენი დოკუმენტების პაკეტი უნდა შეიცავდეს ქვემოთ მოყვანილ სამ ელემენტს:

ა) პროექტის სრული ინგლისურენოვანი ვერსია (2 ცალი კომპაქტდისკი CD-R პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი და დათარიღებული) და ქაღალდზე დაბეჭდილ ორი ეგზემპლარი;

ბ) თანამშრომლობის შესახებ ინტერესის გამოხატვის წერილი, სულ ცოტა ერთი კოლაბორატორისგან გაგზავნილი, როგორც პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელთან ისე უშუალოდ მტცუ-ში.

გ) საქართველოს სახელით თანხმობის წერილი.

5. ამ მუხლის მეოთხე პუნქტის რომელიმე პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში პაკეტი ჩაითვლება არასრულყოფილად და არ მოხდება პროექტის განხილვა დაფინანსებისთვის.

დანართი N2

დამტკიცებულია
სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო
ფონდის გენერალური დირექტორის
2014 წლის 13 მარტის №24 ბრძანებით

1. კვლევის სიახლე, მიზანი და ამოცანები

1.1 პრობლემის აქტუალობა და კვლევის სიახლე

(პრობლემის მოკლე მიმოხილვა; დასაბუთება, თუ რატომ არის პროექტი მნიშვნელოვანი და აქტუალური; კვლევის მეცნიერული სიახლის აღწერა; პროექტის საბოლოო მიზანი და სხვ.)

1.2 კვლევის ობიექტი და ამოცანები

(აღწერეთ: კვლევის ობიექტი; კვლევის სტრატეგია; პროექტის განხორციელების ეტაპები და შესასრულებელი ამოცანები და სხვ.)

ამოცანების ჩამონათვალი პერიოდებისა და შემსრულებლების მითითებით

№	ამოცანის დასახელება	ამოცანის შესრულების სავარაუდო დრო თვეების მიხედვით	მონაწილე ორგანიზაციები
1		(მაგ., მე-9-12 თვე)	
2			
3			
4			
n			

2 კვლევის მეთოდიკა და მოსალოდნელი შედეგები

3

2.1 კვლევის მეთოდიკის შესაბამისობა პროექტის ამოცანებთან

(აღწერეთ: პროექტში დაგეგმილი ამოცანების გადასაჭრელად საჭირო მეთოდები და საშუალებები/გზები, მათი დასაბუთება; პროექტის ამოცანების რეალიზაციის პროცესში მოსალოდნელი სირთულეები და მათი გადაწყვეტის მეთოდები და სხვ.)

2.2 კვლევის მოსალოდნელი შედეგები და მათი მნიშვნელობა კვლევის სამეცნიერო მიმართულებისათვის/მიმართულებებისათვის

(აღწერეთ: პროექტის დასრულების შედეგად მოსალოდნელი ახალი ან უფრო სრულყოფილი ცოდნის მნიშვნელობა კვლევის მიმართულებისა და მომიჯნავე სფერო(ები)სათვის; აგრეთვე, კვლევის შედეგების გამოყენების პერსპექტივები სოციალურ-პოლიტიკური, საზოგადოებრივი, კულტურული ან/და ტექნიკური პროგრესის თვალსაზრისით და სხვ.)

3. პროექტის მართვა

მოკლედ აღწერეთ და დაასაბუთეთ პროექტში ადამიანური და ტექნიკური რესურსების მართვის სქემა; აღწერეთ ბიუჯეტის ხარჯვის კატეგორიების მიხედვით შემოთავაზებული საქონლის, მომსახურების და სხვათა ფასების რეალურობა (შესაძლებლობის შემთხვევაში შეადარეთ ისინი მსგავსი ანალოგების საერთაშორისო საბაზრო ფასებს). დაასაბუთეთ შესასყიდი საქონლის/მომსახურების რაოდენობრივი მაჩვენებლების კავშირი შესასრულებელ ამოცანებთან. მაგალითად, რატომ გჭირდებათ 2 და არა 1 კომპიუტერი, 5 ძირითადი შემსრულებელი და არა 2 და ა.შ. სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 250-300.

დანართი 3

დამტკიცებულია სსიპ - შოთა რუსთაველის
ეროვნული სამეცნიერო ფონდის
გენერალური დირექტორის 2014 წლის 13
მარტის #24 ბრძანებით

№	ხარჯის კატეგორია	I საანგარიშო პერიოდი	II საანგარიშო პერიოდი	III საანგარიშო პერიოდი	IV საანგარიშო პერიოდი	სულ აშშ დოლარი
1	ძირითადი პერსონალის საგრანტო დაფინანსება	-	-	-	-	-
1.1.	მ.შ. წამყვანი ორგანიზაცია	-	-	-	-	-
1.2	მ.შ. თანამონაწილე ორგანიზაცია	-	-	-	-	-
		-	-	-	-	
		-	-	-	-	
2	დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურება	-	-	-	-	-
2.1	მ.შ. წამყვანი ორგანიზაცია	-	-	-	-	-
2.2	მ.შ. თანამონაწილე ორგანიზაცია	-	-	-	-	-
3	მივლინება	-	-	-	-	-
3,1	მ.შ. წამყვანი ორგანიზაცია	-	-	-	-	-
3,2	მ.შ. თანამონაწილე ორგანიზაცია	-	-	-	-	-
4	საქონელი და მომსახურება	-	-	-	-	-
4,1	მ.შ. წამყვანი ორგანიზაცია	-	-	-	-	-
4,2	მ.შ. თანამონაწილე ორგანიზაცია	-	-	-	-	-
5	კაპიტალური ხარჯი	-	-	-	-	-
5,1	მ.შ. წამყვანი ორგანიზაცია	-	-	-	-	-
5,2	მ.შ. თანამონაწილე ორგანიზაცია	-	-	-	-	-
6	ზედნადები ხარჯი	-	-	-	-	-
6,1	მ.შ. წამყვანი ორგანიზაცია	-	-	-	-	-
6,2	მ.შ. თანამონაწილე ორგანიზაცია	-	-	-	-	-
	სულ	-	-	-	-	-
	მ.შ. წამყვანი ორგანიზაცია	-	-	-	-	-
	მ.შ. თანამონაწილე ორგანიზაცია	-	-	-	-	-

დანართი N4
დამტკიცებულია
სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო
ფონდის გენერალური დირექტორის
2014 წლის 13 მარტის №24 ბრძანებით

ეს განცხადება ავტომატურად შეივსება ფონდის ვებ-გვერდზე კონკურსანტების მიერ ელექტრონულ ბაზაში პროექტის რეგისტრაციის დასრულების შემდეგ!

მიზნობრივი კვლევებისა და განვითარების ინიციატივების პროგრამა - მტცუ-სა და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2014 წლის ერთობლივი კონკურსი

პროექტის წარმომდგენი იურიდიული და ფიზიკური პირების ერთობლივი

განცხადება (ნიმუში)

წარმოგიდგენთ რა ინფორმაციას საკონკურსო პროექტის შესახებ, ვადასტურებთ, რომ გავეცანით „ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის №86 დადგენილებას, აგრეთვე სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის ბრძანებას და ჩვენი ხელმოწერით ვაცხადებთ თანხმობას კონკურსის პირობებზე. ასევე ვადასტურებთ, რომ ჩვენ მიერ ფონდის ელექტრონულ სისტემაში ატვირთული ინფორმაცია ზუსტია და არ შეიცავს ყალბ მონაცემებს. ამასთან, წამყვანი და თანამონაწილე ორგანიზაციების ხელმძღვანელები ვადასტურებთ პროექტის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არსებობას. ვეთანხმებით, რომ ფონდი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს გადაამოწმოს მოწოდებული ინფორმაციის სიზუსტე და რაიმე სიყალბის აღმოჩენის შემთხვევაში მოხსნას წარმოდგენილი პროექტი კონკურსიდან. გთხოვთ, დაარეგისტრიროთ ჩვენი პროექტი მიზნობრივი კვლევებისა და განვითარების ინიციატივების პროგრამა - მტცუ-სა და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2014 წლის ერთობლივ კონკურსში.

1. პროექტის შიფრი: _____
2. პროექტის სახელწოდება: _____
3. პროექტის საერთო ბიუჯეტი (აშშ დოლარი): _____

მათ შორის:

3.1 ფონდიდან მოთხოვნილი თანხა (აშშ დოლარი): _____

3.2 STCU-დან მოთხოვნილი თანხა (აშშ დოლარი): _____

4. პროექტის ხანგრძლივობა (თვეები): _____

5.პროექტის წარმომდგენნი:

ა)

წამყვანი ორგანიზაციის სახელწოდება	ორგანიზაციის იურიდიული სტატუსი	წამყვანი ორგანიზაციის ხელმძღვანელის გვარი, სახელი	ხელმოწერა

ბეჭედი:

ბ)

	თანამონაწილე ორგანიზაციის სახელწოდება	ორგანიზაციის იურიდიული სტატუსი	თანამონაწილე ორგანიზაციის ხელმძღვანელის გვარი, სახელი	ხელმოწერა
1.				

ბეჭედი:

გ)

	პროექტში მონაწილე ძირითადი პერსონალი (გვარი, სახელი)	როლი პროექტში	ხელმოწერა
1.		სამეცნიერო ხელმძღვანელი	
2.			
3.			

დანართი N5

დამტკიცებულია
სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო
ფონდის გენერალური დირექტორის
2014 წლის 13 მარტის N29 ბრძანებით

პროექტის მონაწილეთა ავტობიოგრაფია (CV)

პერსონალური მონაცემები

სახელი, გვარი
სქესი:
მოქალაქეობა:
ელფოსტა:
პირადი ნომერი (11-ნიშნა):
დაბადების თარიღი:
მისამართი
ტელეფონი
ვებგვერდი

პროფესიული მოღვაწეობა

სამეცნიერო/აკადემიური ხარისხი
სამუშაო ადგილი/ორგანიზაცია:
თანამდებობა

განათლება

#	უმაღლესი საგანმანათლრბლო დაწესებულების დასახელება	სპეციალობა	აკადემიური ხარისხი	წლები

შესაბამისი სამუშაო გამოცდილება

#	ორგანიზაციის დასახელება	დეპარტამენტის/განყოფილების დასახელება	თანამდებობა	წლები

პუბლიკაციები

პუბლიკაციების რაოდენობა

ბოლო 10 წლის პუბლიკაციების ჩამონათვალი (არაუმეტეს 10-ისა სამეცნიერო ხელმძღვანელისთვის, არაუმეტეს 5-სა დანარჩენი მონაწილეებისათვის)

#	წელი	პუბლიკაციის დასახელება	გამომცემლობა	ავტორ(ებ)ი

<u>სამეცნიერო საგრანტო პროექტებში მონაწილეობა (არა უმეტეს 5-ისა)</u>

#	წლები	როლი პროექტში	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია

<u>საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებში მონაწილეობა (არა უმეტეს 5-ისა)</u>

#	წელი	ღონისძიების დასახელება	მოხსენების სათაური	ღონისძიების ჩატარების ადგილი

დამატებითი ინფორმაცია (ჯილდოები, სტიპენდიები)

სტიპენდიები

ჯილდოები